

ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედია პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“

საუნივერსიტეტო გასაუბრება

საუნივერსიტეტო გასაუბრების თემები და საკითხები გამოქვეყნდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

გასაუბრების ფორმატი: ზეპირი გასაუბრება;

- თუ აბიტურიენტს აქვს ბაკალავრის დიპლომი IT-მიმართულებით - მასთან გასაუბრება არ ტარდება, და მიიღება ეროვნული გამოცდის ქულების მიხედვით;
- თუ აბიტურიენტს აქვს ბაკალავრის დიპლომი სხვა მიმართულებით - ასეთ შემთხვევაში გამოიყოფა შემდეგი კრიტერიუმი:
 1. მისი მიმდინარე სამუშაო ადგილი უკავშირდება IT-სფეროს;
 2. მისი წინა სამუშაო ადგილი თუ უკავშირდებოდა IT-სფეროს და მას აინტერესებს ამ მიმართულებით შემდგომი განვითარება;
 3. მისი სამუშაო ადგილი არ უკავშირდებოდა IT-სფეროს მაგრამ მას აინტერესებს ამ მიმართულებით შემდგომი განვითარება;
 4. ის არ არის დასაქმებული, მაგრამ მას აინტერესებს და ესაჭიროება ამ სფეროში სამაგისტრო განათლება სამომავლო განვითარებისათვის;
 5. მას აქვს პირადი გამოცდილება და აინტერესებს/ესაჭიროება ამ სფეროში სამაგისტრო განათლება სამომავლო განვითარებისათვის;
 6. რა მიმართულებით სურს განვითარება;
 7. სად ხედავს თავს 2 წლის შემდეგ ;
 8. რომელ თემატიკაში სურს მუშაობა ;

თემები:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენების სფეროები
2. მონაცემთა ბაზები და მონაცემთა სტრუქტურები
3. პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიები
4. ვებ-ტექნოლოგიები
5. მონაცემთა უსაფრთხოება
6. საინფორმაციო სისტემები და ქსელები